№ 71 13 თიბათვე, ორშაბათი 1866—1877 13 თიბათვე, ორშაბათი № 71

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ, გამოგზავნონ რედაქციაში.**

**ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.**

**ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.**

---

### ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

რომელიც **პირველი ივნისიდამ ყოველ დღე** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

**ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

არზრუმიდამ ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში იწერებიან, რომ ქურთების უფროსმა ჰასან-ბეიმ ათი ათასი ცხენოსანი კაცი მოაგროვაო ქურთებში; მაგრამ რაღაც პირობაებს თხოულობს მუხთარ-ფაშისაგან და სანამ იმას არ აუსრულებს, მანამ არ აპირებსო, რომ ეს თავის კაცები ოსმალოს ჯარს შეუერთოსო.

არზრუმიდამვე მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშას უკანვე დაუბრუნებია სურსათი და კარვები, რადგან შესაძლებელიაო, რომ არზრუმში დავაბრუნოთ ჩემი ჯარიო და იქ დავგაქირდებაო.

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ყარსის მახლობლად მაცრას დაბანაკებულის რუსის ჯარიდამ დეპეშა, რომ ივნისის 5-ს ღამით გაემართეთ ხუთი ბატარეიაო, რომლიდამაც გათენებისას დავუწყეთ ყუმბარების დაშენა ყარსის სიმაგრეებს: არაბ-ტაბიას და ყარა-დაღსაო.

—

ერთს ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილია არზრუმიდამ მიღებული შემდეგი ტელეგრამმა:

„ოლთისის დაჭერის შემდეგ, ოსმალოს ჯარი არტაანისაკენ გაემგზავრა; მეორე ატრიადი დელიბაბიდამ გაგზავნეს! საზოგადოთ ოსმალოს ჯარი ახლა აქ კარგს მდგომარეობაშია.“

—

ამავე გაზეთში დაბეჭდილია მეორე დეპეშა აგრეთვე არზრუმიდამ, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ გასული მაისის 27-ს რუსის ჯარი სამჯერ მისულა იერიშით სიმაგრის ჩახმახის ასაღებად, რომელსაც ყარსისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერ აუღიათო.

—

ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში დაბეჭდილია კავკასიიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ამბობს, რომ ჩვენში (ე. ი. სოხუმის მაზრისაკენ) აჯანყებულების რიცხვი თან-და-თან მატულობსო და იმათ მუდამ მოსდისთ ზღვიდან ოსმალოების ხომალდებით ახალი თოფ-იარაღი და სურსათიო.

---

# ფელეტონი

### იის ხვედრი

—რა ბედნიერი ვარ! მე დღეს გავხდები მეფა დღეობისა!—სიხარულით ლაპარაკობდა ახალგაზდა, კეკლუცი **ნინა** თავის დაბადების დღეს, რომლის სახსოვრადაც იმას ჰქონდა წვეულობა. ის გაიქცა ბაღში დასაგლეჯად ახლად გაშლილის ყვავილებისა დილითვე, სანამ მზის სხივებს სიცხოველე არ წაურთმევია, და აკეთებდა თაიგულებს ოთახის დასამშვენებლად.

—მე ამოვირჩევ ერთ საუმჯობესო ყვავილთაგანს და მივიკრავ გულზედ; ის იქნება ჩემი საკუთრება და ვეცდები მივაბაძო იმის უმთავრეს ღირსებას, რომ მიწოდონ იმ ყვავილის სახელი, რომელსაც ამოვირჩევ! ოჰ, რა საუცხოვო ჰზრია! რა ბედნიერი შემთხვევა! მაგრამ ჯერ ვიპოვნო ღირსეული ყვავილი!

ამ ფიქრით გართული **ნინა** დახტოდა და დაძვრებოდა ყვავილებში და გლეჯამდა იმათ.

თუმცა ყველა ყვავილები კარგები იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ გახდა ღირსი **ნინას** სურვილისა. ამ დროს **ნინა** მოვიდა შადრევანთან და დაუწყო ცქერა მრავალ სხვა და სხვა გვარ ყვავილებს. იმის ფეხ წინ, თითქმის ჩაფლული მაღალ ხშირ ბალახებში, გაშნაპულიყო იის ჯაგნარი უსუსური და სათუთი, მწვანე ფოთლებით, რომლებზედაც ნამის წვეთები თრთოდნენ, ვითარცა ცრემლნი ქუჩუნა თვალებზედ, და კეთილსუნნელოვნება მშვიდი ყვავილისა ადიოდა ზეცას, თითქო ჰმადლობს იმას ღამით სიგრილის გამოგზავნისთვისაო. **ნინამ** დაათვალიერა პატარა ბუჩქნარი და სთქვა:

—შენ ხარ საყვარელი წყნარი ხასიათით, ნაზი-ნარნარი შეხედულობითა და შეუნიშნავი მიმზიდველობით, ნორჩო გაზიფხულის ყვავილო, მაგრამ არიან სხვებიც, შენზედ უმჯობესნი. თუ მე შენ ამოგირჩიო ეხლა და მერე მომეწონოს სხვა, მე დაგივიწყებ და გახდები მზის შეუბრალებელი სხივების მსხვერპლი! სჯობია, არ ავჩქარდე: თუ ვერ ვიპოვნი შენზედ კარგს, მაშინ შენთან მექნება საქმე! დრომდი კი იმალებოდე მანდ ბალახებში და გქონდეს ჩემი მოლოდინი!

მსგავსად მწუხარე ცრემლისა, ნამი ჩამოვარდა იის ფოთლიდამ დედა-მიწაზედ...

—მე მინდა ვიყვე საყვარელი! ჰფიქრობდა **ნინა**; მაგრამ მინდა აგრეთვე გავხდე საგანი საკვირველებისა. მე მსურს ვიპოვნო ყვავილი, რომელიც შეიერთებს იის ტკბილ სუნს უფრო ლამაზ სახესთან.

**ნინა** ღიმილით მოშორდა იას. იქვე, ახლოს, თვალი მოჰკრა ბრწყინვალე სახის ტიტას (ტიულპანს), მივიდა იმის დასაფასებლად.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ექვსი რუსის პატარა ხომალდი გამოვიდა ნალმებით დატვირთულიო; ეხლა უცხო ქვეყნის გაზეთებში უფრო დაწვრილებით იწერებიან ამ ამბავზე:

„6 რუსის ხომალდი გამოვიდა და უნდოდათ აეფეთქათ ოსმალოების ხომალდები; ელოდნენ ღამეს, რომ მტრის ხომალდებს მიჰპარვოდნენ. მაგრამ ოსმალოები თურმე ჰობარტ-ფაშის ბრძანებით ფრთხილათ იყვნენ: იმათ თავიანთი ხომალდები შემორტყმული ჰქონდათ გარშემო რკინის დაწნული ბადეებით ასე, რომ ტორპედები ახლოს ვერ მიეკარებოდნენ.

„პირველმა რუსის ხომალდმა აფეთქა მარტო ერთი ნალმი, რომელმანაც მიაწია ოსმალოს ერთ ჯავშნიან ხომალდს, მაგრამ სრულებით უვნებელათ. ამ პირველი ნალმის აფეთქის შემდეგ ოსმალოებმა დაუშინეს რუსებს ზარბაზნები. მიზნის დანიშნვა ძალიან ადვილი აყო, რადგან ეს ხომალდები ისე არ იყვნენ მოშორებული, რომ ასცილებოდათ. რომ დაინახეს რუსებმა თავიანთი ცუდი მდგომარეობა, ცდილობდნენ დამალულიყვნენ, სიჩქარით დაიფანტნენ აქა-იქ. სამი ხომალდი რუსისა სრულებით აიფეთქა და დაიღუპა და ამბობენ, რომ მთელი იქ მყოფი ხალხი დაიღუპაო. ოსმალებმა წაიყვანეს ექვსი ტყვე და ამ ექვსში ერთი ამერიკელი იყო.

„ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ხომალდების დაცვაც შეიძლება ნალმებისაგან და ისიც ღამე. ჰობარტ-ფაშამ მოიგონა იმ გვარი საშუალება, რომ სულინაში უშიშრათ შეუძლიანთ ოსმალოს ჯავშნიან ხომალდებს სიარული.

—

ტურნ-სევერინიდამ (სერბიის სამზღვრიდამ) ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ, როგორც ეტყობა, რუსები აქეთკენ აპირობენ თავის ჯარის დუნაიზე გადაყვანასაო; მაგრამ ოსმალოებმა იციანო და მდ. ტიმოკის ჩასართავში თავის მხრით დიდძალ ჯარს ამზადებენო.

—

რუსის ჯარის დუნაიზე გადასვლის თაობაზე ახირებულ ამბებს იწერებიან ინგლისურის გაზეთში „Daily News“-ში ვენიდამ:

„ზოგიერთ პირებმა, რომელნიც აქაურ ოსმალოს ელჩს კარგათ იცნობენ, დამარწმუნეს მე, რომ ოსმალოს სამხედრო მთავრობამ სარწმუნო წყაროებიდამ ნამდვილად იცისო—თუ რა დროს, სად და რამდენი რუსის ჯარი განიზრახავს დუნაიზე გადასვლასაო; ისიც იციან ოსმალოებმაო, რომ ერთად 15,000 კაცზე მეტს რუსები დუნაიზე არ გადაიყვანენო. „ჩვენ ვიცით ყველაფერიო, ასე მითხრა მე აქ ერთმა ოსმალომაო, ამბობს კორრესპონდენტი,—და, რასაკვირველია, სადაც გადმოვლენ, იქ იმ დროს მზად დავხვდებითო!“

—

ინგლისის გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში ბრაილოვიდამ, რომ ოსმალოს რამდენიმე სამხედრო ხომალდი გამოვიდა გუშინ მაჩინიდამ და ჰირშოვისაკენ წავიდნენო; რუსებმა, რასაკვირველია, შენიშნეს ხომალდები, და იმწამსვე ტორპედები გაუკეთეს წყალში, რომ უკან დაბრუნების დროს დაღუპონ ეს ხომალდებიო. მაჩინში და დობრუჯაში ოსმალოებს საზოგადოთ ძალიან ცუდი ჯარი ჰყავთო. დუნაი თან-და-თან ჰკლებულობსო.“

—

რუსჩუკსა და მარატინ[illegible] ოსმალოს ბატარეებს [illegible] დაუწყიათ ზარბაზნების სროლა რუსების ჯარისათვის, რომელიც დუნაის მეორე ნაპირზე—პინაკულს—ყოფილა დაბანაკებული, მაგრამ ერთი რუსის გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ აპათ ყუმბარებმა ვერა დაგვაკლეს-რაო.

—

რუსეთისა და რუმინიის მმართებლობას შუა მოლაპარაკებაა ახლა იმის თაობაზე, რომ ამ ორი სახელმწიფოს ჯარი ერთად უნდა მოქმედებდნენ საზოგადო მტრის—ოსმალეთის წინააღმდეგ, თუ ცალ-ცალკე. რუმინიის მთავრის კარლის ჰაზრი ის არის თურმე, რომ თავის ჯარი რუსეთისას შეუერთოს და რუსის სარდლის განკარგულებითა და ბრძანებით მოქმედებდნენ; მაგრამ ზოგი მინისტრები წინააღმდეგნი არიან ამ ჰაზრისა; ისინი ამბობენ, რომ რუმინიის არმია რუმინიას არ უნდა გასცილდეს, შინ უნდა დაიცვას თავის ქვეყანაო. ამბობენ, რომ რუსეთის სამხედრო მთავრობაც ამ ჰაზრის არის, რომ რუმინიის არმია დუნაიზე არ გადავიდეს და უკან დარჩეს რუსის არმიის რეზერვად.

—

მთავარი კვარტირა რუსეთის დუნაის არმიისა, როგორც ვენის გაზეთი გვაცნობებს, პლოეშტიდამ დუნაის ნაპირზე უფრო ახლოს გადააქვთო, ქ. ალექსანდრიაში. ეს გარემოება გვარწმუნებსო, ამბობს ეს გაზეთი, რომ რუსებს, უეჭველია, განზრახვა აქვთ, რომ მალე გადავიდნენ დუნაიზეო.

—

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო და-

---

—აი სილამაზე, რომლითაც არ შეიძლება არ გაჰკვირდეს ადამიანი! სთქვა ნინამ, მაგრამ დაეწოდა თუ არა, გაიგო, რომ საუცხოვო ყვავილს არა ჰქონდა არავითარი სუნი.

—რა იქნება სილამაზე უსუნო, უგემური! რას ემგვანება გარეგნული ბრწყინვალება და შიგნითური სიბილწე! იფიქრა ნინამ და ამოხვრით დაუწყო ძებნა უფრო კარგ ყვავილს. შეცრივ ის შეჩერდა სიხარულით და აღტაცებული ტაშის კვრით: დილის ნამით ნასხურებ მშვენიერს ვარდს გაეშალა თავისი ალის-ფერი ლავაშ-ლავაში ყვავილები, რომლის საამო სუნს დაეტკბო არე-მარე.

—ვიპოვნე!.. ვიპოვნე ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებელი მშვენიერება! დაიყვირა ნინამ და საჩქაროთ, დამშეულივით მივარდა მომხიბლავ ყვავილს, მაგრამ ისევ მსწრაფლ ხელი უშვა განცვიფრებით და უკმაყოფილოდ: ვარდის ეკლებმა დაკაწრეს იმას ნორჩი თითები.

—კარგი ჭკუის სასწავლებელია ჩემთვის შენი ეკლები? შენა ხარ, ვარდო, მშვენიერი, მაგრამ უკეთური? მე ვერ გავბედავ შენს მოწყვეტასა და არც მსურს ამოგირჩიო ჩემს სიმვოლოდ! საბრალოა ის, ვინც მიიზიდავს და მიინდობს გულს სილამაზით და გარეგნული სიმშვიდით მხოლოდ მისთვის, რომ მემრე დასჩხვლიტოს საიდუმლო ნემსებით, მოხიბლოს საიდუმლო შხამით, ჩაუყაროს გულში უჩინარი ისარი!!. სთქვა ესა და მწუხარებით განშორდა ვარდს.

დაღლილი ბევრი ძებნით ნინა ჩამოჯდა სკამეიკაზედ ჩრდილში და დაუწყო ტორტმანით შედარება ნახულ ყვავილებს. ბოლოს მოიგონა ია და გაექანა იმის მოსაძებნად; მაგრამ როცა მივიდა ჰაუზთან, მზე კარგა მაღლა იყო.

— უმშვენიერესო და უსრულესო იავ! მე გავსინჯე ყველა ყვავილები, მაგრამ ვერ ვიპოვნე შენი მსგავსი. ყველგან შემხვდა ან სილამაზე უსუნოთ, ან ბრწყინვალებ სიმშვიდე ნაკლები! შენ კი, შენი უბრალოებით, აჭარბებ ყველა სხვას. მოდი, მე გატარებ შენ გულში ჩაკრულს! შენი კეთილი სუნნელება დამატკბობს, ხოლო სიმშვიდე და წყნარი ყოფა-ქცევა მექნება მაგალითად. მე ვეცდები მივბაძო შენს სანატრელს ღირსებას და ამითი დავიმსახურო სახელი ნინა-ია!

ის დაეწოდა იას მოსაგლეჯათ, მაგრამ გვიან-ღა: მზის შუა დღის მძაფრ სხივებს უკვე ბოლო მოეღოთ, მოეკლათ ია და ნაცვლად დილის სილამაზისა და სიცხოველისა დარჩომოდა დამჭკნარი ფერი და სუსტი სუნი!

თეოფ. პანდელაკი.

ბექდილი, რომ ზობარტ-ფაშამ შავს ზღვაზე სამი საბერძნეთის ხომალდი დაიჭირა და სტამბოლში მიიყვანაო. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ხომალდები რუსის სავაჭრო ხომალდები ყოფილა, საბერძნეთის დროშით გამოსულან ქერჩიდამ, სადღაც ზღვაში შეხვედრიან ზობარტ-ფაშის ხომალდებს, რომელთაც დაუჭერიათ და სტამბოლში მიუყვანიათ ტყვეთ. ხომალდები ხორბლით ყოფილა სავსე.

# საქართველო

## დღიური

⁂ დიდო-ლეკების და თუშების შეტაკების თაობაზე, ჩვენ გვწერენ კახეთიდამ, რომ უმთავრესი მიზეზი ამ შეტაკებისა არც მაჰმადიანური ფანატიზმი ყოფილა და არც სხვა რამ გარეშე გარემოება; ნამდვილი მიზეზი მიწა-წყლის თაობაზე დიდი ხნის დავა არისო. ამ ადგილ-მამულის საქმის ატეხასა და დახლართვას ზოგიერთ კახელ თავადებს აბრალებენ...

⁂ ის სეტყვა, რომელიც ამ თვის 4-ს და 5-ს იყო ჩვენში, ყოფილა აგრეთვე ბევრ ალაგას ტფილისის უეზდშიაც; რამდენსამე სოფელში, როგორც მაგალითად სართაჭალას, პატარძეულში, საგარეჯოს, ხაშმს და უჯარმას ნამუშევარი და ვაზები გაუფუჭებია. ქვემოთ, რკინის გზის დაყოლებლივაც მცხეთამდი რამდენიმე სოფელი გაუფუჭებია.

კახეთისკენაც ყოფილა ამ დროს სეტყვა; მაგრამ ისე არა, როგორც ჩვეულებრივ იცის ხოლმე. ყველაზე უფრო ზიანი ამ მხრისაკენ სოფლების კარდანახის, გურჯაანის, კოდალოს, ზიარისა და მანავის მამულებისათვის მიუცია.

ამბობენ, ალაგ-ალაგ სოფლებში ისეთი მსხვილი მარცვლები ჰყო სეტყვისაო, რომ კურდღლები მოჰკლაო და ფრინველები ხომ უანგარიშოთ დაუხოცია.

⁂ ბორჯომში და აბასთუმანში ახალ ლაზარეთებს მართავენ ომში დაჭრილებისა და ავათმყოფ მეომრებისათვის.

⁂ დღევანდელ ქალაქის რჩევის სხდომაში, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე მოლაპარაკება: ქალაქის თავის წინადადებაზე, რომ გამგეობის 1876 წლის ანგარიშის განსახილველად კომისია დანიშნონ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის საავათმყოფოში კიდევ ერთის ექიმის დანიშნვაზედ; თამამშევების თხოვნაზედ, რომ ქალაქმა გირაოები დაუბრუნოს მათ; სხვა-და-სხვა პირების საჩივარზე დამფასებელ კომიტეტის უკანონოთ მოქმედების შესახებ და სხვ.

⁂ რაჭიდამ გვწერენ, რომ უხიდობის გამო, აქ ხშირად ხდება უბედურებაო და თუმცა ხალხი მზათ არის და დიდის სიამოვნებით ააშენებს რიონზე ხიდს, მაგრამ მოთავე დაგანკარგულების მომხდენი არავინ არისო. ადრე სოფ. ბუგეულთან ყოფილა აქ რიონზე ხიდი, მაგრამ სიძველის გამო ჩამტვრეულა და მას აქეთ ძალიან შევიწროებული არის ხალხიო, ნავებით გადადიანო, რომელიც ხშირად ვერ უძლებს რიონის აჩქარებულ წყალს, გადაბრუნდება ხოლმე და ხალხს ღუპავსო. ჩვენი კორრესპონდენტი იმედოვნებს, რომ, თუ ოდესმე განიზრახეს აქ ხიდის გაკეთება, ამ საქმეში, უეჭველია, რაჭის თავად-აზნაურობაც მიიღებს მონაწილეობას. მარტო გლეხებს არ მოახერხებენ კისერზედაო, რადგან ეს ხიდი თავად-აზნაურობისთვისაც ისეთს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც გლეხებისთვისაო.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

სტამბოლიდამ ძალიან აღშფოთების ამბებს იწერებიან; ამბობენ, რომ ზოგიერთ სულ-მოკლე კაცებს სრულებით დაჰკარგვიათ იმედი და თხოულობენო, რომ ახლავე მოურიგდეს მმართებლობა რუსეთსაო. თვითონ სულთანი და იმის ახლანდელი მთავარი ვეზირი—მაჰმუდ დამად-ფაშაც იმ აზრის არიან თურმე, რომ ოსმალეთი დაიღუპება, თუ არ მოურიგდით რუსეთსაო. მაგრამ პარლამენტი წინააღმდეგი არის თურმე მორიგებისა; მომეტებული ნაწილი დეპუტატები თხოულობენ, რომ ბრძოლა უნდა გაგრძელდესო, რადგან ახლა რომ მოურიგდეთ რუსეთს, ის ჯერ-ჯერობით გამარჯვებული არისო და, უეჭველია, ჩვენ დამამცირებელ პირობებს მოითხოვსო. ხალხი მიტჰხად-ფაშის დაბრუნებას თხოულობს, იმისაგან მოელიან ოსმალეთის დახსნას.

## საბერძნეთი

ათინაში და საბერძნეთში დიდი მღელვარება ხალხისა. ათინის „მოქმედების კომიტეტი“ აგროვებს თურმე ჯარს, ფულს და თესალიაში და ეპირში აგზავნის იქაურ აჯანყებულების დასახმარებლად ოსმალეთთან ბრძოლაში. აქედამვე ბევრი ხალხი და ტყვია-წამალი გაუგზავნიათ აგრეთვე კანდიის კუნძულის განდგომილებისათვის.

## პირველ თიბათვის ვიჭაკი

ანუ „ჯაან გულუმი!“

თიბათვის პირველს, თითქმის მთელმა ქალაქის დედაკაცებმა ჩვეულობრივ „ჯან-გულუმი“ გამართეს ჰავლაბარში, მთაწმინდაში და ხარფუხში. სად არა ვნებამთ, რომ ერთის რაღაც ნაირის თავმოწონებით არ გასძახოდნენ „ჯან გულუმაო“ და არ მღეროდნენ!

ეს „ჯან გულუმიც“ ერთი იმ ცრუმორწმუნოებათაგანია, როგორც, მაგალითად, მკითხაობა, ლაზარეობა და სხვა მრავალი ამგვარი ცრუმორწმუნოებანი, და რადგანაც ამაზე ჯერ არაფერი თქმულა ჩვენს ლიტერატურაში, მოკლეთ აგწერ.

მაისის გასულს ყოველს უბანში (მდაბიო ხალხში) დედაკაცები მოგროვდებიან ერთ სახლში და მოიტანენ, თავის ბედის გამოსაცნობელად, მრავალ ნიშნებს: ბეჭდებს, საყურეებს, სათითებს და სხვა ამგვარებს, და ერთს დედაკაცს მიაბარებენ, რომელიც თავად ითვლება.

ოც-და-რვას მაისს წავლენ რამტენიმე დედაკაცნი მინდორში, დაჰკრიფამენ ნაირ-ნაირ ყვავილებსა, მოიტანენ შინ, ჩაჰყრიან ერთ ქილაში და ვისაც რა ნიშნები მიუტანიათ თავიანთის ბედის გასაგებათ, ამეებსაც შიგ ჩაუძახებენ.

მეორე დღეს წყაროდამ ან მტკვრიდამ „უმძრახ წყალს“ მოიტანენ ისე, რომ ხმა არავის უნდა გასცეს მომტანმა და არც კოკა უნდა დადგას დედამიწაზე, და ჩაასხამენ ქილაში. იმ საღამოს ქილას ბანზე აიტანენ და სამს ღამეს იქ უნდა დარჩეს, მეოთხე დღეს ჩამოიტანენ და დასდგამენ ტახტზედა, ორ პატარა გოგოსაც თვალებს აუკრამენ ხელცახოციათ და მოუსმენ გვერდით.

შემდეგ ხალხიც მოგროვდება; ფულების აკრეფასაც დაიწყებენ, და საღამოს ჟამსა შეიქნება თამაშა აი ამ გვარათ: სამი დედაკაცი გვერდით მოუხდება იმ ყმაწვილებსა და დასძახებენ მაღლის ხმით:

ჩვენ ბაღში რეჰანია,
ჯან გულუმ, ჯან ჯან!

ყმაწვილებსაც თითო-თითო ნიშნებს ამოაღებინებენ და, იმ ნიშნების ამოღების დროს, რა სიტყვებიც შეხვდებათ, შემდეგ ნიშნების პატრონებს დაუწყებენ იმ სიტყვების ახსნასა, ფუ თქვენ ამა და ამ ბედისა ხართო.

ამ ჩვეულებას აქამდინ მუდამ წელიწადს ჰავლაბარში მართამდნენ, სომხების საფლაოზე და მთელი ქალაქის ჯეელი ვაჭრები, ქალები და მრავალი სხვანი იქ მიდიოდნენ, ხოლმე და იქ დღესასწაულობდნენ. წრეულს კი იქ ბოლო მოეღო და ახლა ალაგ ალაგ ზოგიერთს ქალაქის უბანში დაიწყეს ხელ-ახლად მოგონება დედაკაცებმა და ჩვეულებრივ დღესასწაულობენ. ამ ჩვეულობას ახლა უფრო წმინდათ და ნამდვილად მხოლოთ სომხეთის სოფლებში ასრულებენ; ქართლ-კახეთში და ქალაქში კი თან-და-თან ავიწყდებათ.

ზ. მთაწმინდელი

# ნარევი

ერთმა მდიდარმა რუსმა მოიკლა ამას წინათ თავი, და თუმცა ბევრი ეძიეს, მაგრამ მიზეზი ვერა მონახეს-რა. ბოლოს მიცვალებულის ქაღალდებში ნახეს დამტკიცება, რომ ეს კაცი ამერიკელი დუელის მსხვერპლად შექნილა. ამ ათის წლის წინათ რაღაც უკმაყოფილების გამო, იძულებული შეიქნა მიეცა ერთის ამერიკელისათვის სიტყვა, რომ ათი წლის შემდეგ მე თითონ მოვიკლავ ჩემ თავსაო. წელს შესრულდა ეს ათი წელიწადი და ის კაცი კიდევ მოელოდა, რომ ამერიკელი გაანთავისუფლებდა იმას თავის სიტყვისაგან. მაგრამ დანიშნული დღის წინა დღეს მოუვიდა იმას ამერიკელისაგან წიგნი, რომელშიაც ახსენებდა, რომ ხვალ ვადა არის თქვენის სიტყვის სისრულეში მოყვანისაო!... რუსმა შეასრულა სიტყვა და სწორეთ დანიშნულ დღეს და საათს იკრა თურმე რევოლვერი შუბლში და მოიკლა თავი..

* * *

ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ, რომ ამ დღეებში აქ 25 კაცი ჩვენი სალდათები და ყაზახი-რუსები მოიყვანეს, რომელნიც სოხუმში დაეტუსაღებინათ. ესენი მთელ ქალაქში ჩამოატარეს; ბიჭები დაედევნენ უკან და ხალხი სიხარულით უყურებდა თავის გამარჯვების ნაყოფსო, მაგრამ არავის მცირეოდენი შეურაცხყოფა არ მიუყენებია ამათთვისაო, პირიქით, პაპიროსები და ხილი უთავაზესო. შემდეგ ყაზარმაში წაიყვანეს თურმე ესენი და იქ მეორე დღეს თვითონ სულთანი მივიდა იმათ სანახავად. გამოჰკითხა მათი მდგომარეობა და მერე ყველას თითო ჩიბუხი და თითო ოყა თამბაქო დაურიგა საჩუქრათაო.

# განცხადებანი

ძალისამებრ კონტრაქტისა, რომლითაც შევეკარ მე თფილისის ქალაქის გამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმევის საზიდვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მაედანზედ, ალავერდოვის სახლში, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეშჩანსკის უპრავის გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან ლოვლათბეგოვი

---

**დაიკარგა** სადა, ფართო ო ქ რ ო ს **ბეჭედი**, რომელზედაც დიდის სლავიანურის ასოებით აწერია რუსულად „Василій Черникъ“. თ უ თ ხ მ ე ტ ი მ ა ნ ე თ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი, ვინც იპოვნის ამ ბეჭედს და წარმოადგენს: ან ქ უ თ ა ი ს შ ი, ივანე იოსების ძეს ზედგინიძესთან ან სლობოტკაში, კრივოლაპოვის სახლში ესკის ყაზახის პოლკის ხორუნჟის ლეიხთან და ანუ ო ზ უ რ გ ე თ შ ი—ვასილი ივანეს ძეს ჩერნიკთან.

(3—1)

---

**ისყიდება** ქვემო-მოყვანილი **ქართული წიგნები:**

1) ერთი წლის „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“ ყდაში, 2) ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს [illegible], 3) მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ა ქართველთ მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთანა, 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული ს ლ ა ვ ა რ ი, 5) ძ ვ ე ლ ი ა ღ თ ქ მ ა, ვენეციაში დაბეჭდილი 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული ს ლ ა ვ ა რ ი, 7) კ ა ლ მ ა ს ო ბ ა იოანე ბატონიშვილისა, და პლატონ იოსელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „ც ი ს კ ა რ ი“ დაარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

**ფასის** გაგება ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

(5—1)

---

## თფილისის სამკურნალო

(4 ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი— შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი —შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი —ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი. . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს— სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს— ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 11 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 266 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 208 | |
| მოგებიანი (მეორე ესხი) | 201 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 ივნისს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 25 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 80 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 7 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთ. | 7 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთ . | 3 | — |
| —თარაქამისა ფუთ. . | 2 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 5 | 50 |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, გრადუზი . | — | 12 |
| შაქარი, ბოლც. ფუთი . | 8 | — |
| —ფხვნილი ფუთი . | 8 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 7 | 72 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.